განმარტებითი ბარათი

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება დაკავშირებულია „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფასთან და მასში არსებული ცალკეული ხარვეზების აღმოფხვრასთან, რაც გამოვლინდა აღნიშნული კანონის პრაქტიკული გამოყენების პროცესში. იგი მიმართულია უზრუნველყოს სათანადო ეფექტური და ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნა ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთის, პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით, ასევე უზრუნველყოს აღნიშნულ სფეროში საერთაშორისო გამოცდილების იმპლემენტაცია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია სრულყოს და პრაქტიკულად გამოყენებადი გახადოს „ოჯახში ძალდობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი, გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის აღმოფხვრისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების არსებული სამართლებრივი მექანიზმები, უზრუნველყოს კანონის ეფექტური იმპლემენტაცია.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის მიხედვით „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” საქართველოს კანონს ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მინიჭებას გარდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო ორგანოებისა, განახორციელებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოსთან არსებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფი. აღნიშნული ნორმა საშუალებას მისცემს იმ პირებს, რომელთაც არ შეუძლიათ მიმართონ პოლიციას ან/და სასამართლო ორგანოებს, ისარგებლონ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ზომებით.

ასევე, კანონს ემატება ნორმა, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება კრიზისული ცენტრების შექმნა და ფუნქციონირება. აღნიშნული ნორმის (მუხლი 18[1]) თანახმად, კრიზისული ცენტრი იქმნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემში ან/და არასამეწარმეო იურიდიული პირის ბაზაზე და წარმოადგენს ოჯახში ძალადობის სავარაუდო მსხვერპლთა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებითი განთავსების ადგილს და ემსახურება მათ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას, პირველად და გადაუდებელ სამედიცინო მომსახურებასა და სამართლებრივ დახმარებას. კრიზისული ცენტრის მოწყობისა და ფუნქციონირებისათვის აუცილებელი მინიმალური სტანდარტები განსაზღვრულია საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.

კანონპროექტში ახლებურად ჩამოყალიბდა ნორმები მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით. კანონპროექტის მიხედვით მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები გულისხმობს იმ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია მოძალადის ფსიქო-სოციალური დახმარებისა და გაჯანსაღებისაკენ, ცალკეული მავნე ჩვევებისაგან (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია ან ისეთი ფსიქიური დაავადება, რომელიც არ გამორიცხავს შერაცხადობას) პირის განკურნებისა და რეაბილიტაციისაკენ და დაკავშირებულია ძალადობის შემდგომი გამოვლინების თავიდან აცილებისა და მსხვერპლის შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან. ამასთან, მოძალადეთა სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მისი განხორციელების წესი და ფორმები, აღნიშნულ სფეროში არსებული პრაქტიკისა და უცხოური ანალოგიის გათვალისწინებით დამატებით უნდა განისაზღვროს საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

კანონპროექტის მიხედვით გაფართოვდა „ოჯახის წევრის" ცნება და არსებულს დაემატა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლით გათვალისწინებული პირები - დამცავი და შემაკავებელი ორდერების მოქმედების ვადები განსხვავებულად დარეგულირდა, კერძოდ, გაიზარდა დამცავი ორდერის მოქმედების ვადა 6 თვემდე ხოლო შემაკავებელი ორდერის მოქმედება განისაზღვრა 3 თვემდე ვადით. ასევე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის თავშესაფარში მოთავსების ვადაც გაიზარდა 3 თვემდე. აღნიშნული ცვლილებები გამოწვეულია არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიხედვით "ბავშვი" შეიცვალა ჩვენს კანონმდებლობაში ადაპტირებული ტერმინით – "არასრულწლოვანი", რაც გულისხმობს როგორც მცირეწლოვანს, ასევე მოზარდს. ამასთან, ოჯახში ძალადობისაგან არასრულწლოვანის დაცვის თავში უფრო დეტალურად განისაზღვრა მისი დაცვის სპეციფიკური ღონისძიებები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს, იმ პირთათვის რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს, პირიქით გამომდინარეობს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და შეთანხმებებიდან.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ცალკეულმა ექსპერტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულების წარმომადგენლებმა.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრი რუსუდან კერვალიშვილი.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრი რუსუდან კერვალიშვილი.